

# მწერალი



მე ვარ მწყემსი კეთილია: მწყემსან კეთილმან სული თვისი  
დაპირის ცხოვართათვის. ია. 10—11.

გვივე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული.  
ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და  
მე განგისვენო თქვენ. მათ. 11 28.

№ 4

1883—1898

28 თებერვალი

## სადიდმართვო სასინანულო

სულო ჩემო, განიღეთ  
სინანულის დადგა უმი,  
ეს დრო მირბის, გაგებარვის,  
არ დაკარგო ერთი წამი.

ცრემლთა დენით ალიარე,  
ჩამოთვალე, რაც გაქვს ცოდვა!  
არა ვინ არს ხორციელი,  
რომ არ სცოდა, ისე ცხონდა.

უმი კნინობს სინანულის,  
სიკვდილი სდგას აგერ კართან!  
ნუ ჯიუტობ, თორემ შთავნთქამს  
ვით „აბირონი და დათან!“

ნუ ბაბავ «ხუთ სულელ ქალწულს,  
ულამპროს და უზეთოს!»  
შეიძინე სალვო მადლი...  
რომ წინ სანთლად გინათოსა...

საჭიროა: გული წმიდა,  
მარხვა, ცრემლი, მუხლთა ღრეკა,  
თორემ „მოწყალების კართან“  
შევექნება უქმი რეკა. რ.

## ანავება (შეჩვენება).

დიდ-მარხეის პირველ კვირიაკეს ვეძახით «მართლ-  
მადიდებლობის კვირიაკეს».

ამ დღეს თითოეულ მართლ-მადიდებელ ქალაქ-  
ში, სადაც ცხოვრებს ეპისკოპოსი, რომელიც განა-  
გებს ადგილობით ეპარქიას, საკრებულო ტაძარში  
დიდის დღესასწაულობით სრულდება წესი, რომელ-  
ზედაც წყევას, ანაფემს უთვლიან უმთავრეს მწვა-  
ლებელთ და ცრუ მასწავლებელთ. სიტყვა ანაფემ  
ნიშნავს მწგალებლის მართლ-მადიდებელი ეპკლე-  
სის ერთობისაგან დროებით განდევნას, სანამ იგი

მოინანებდეს, და თუ არ მოინანა, მაშინ იგი სამუ-  
დაშოთ განდევნილ იქნება ეკკლესიის ერთობისაგან.

ეს წესი სრულდება მართლ-მადიდებელ ეკკლე-  
სიაში მოციქულების ღრმიდან, თანახმად მაცხოვ-  
რის სიტყვებისა: „ხოლო უკეთუ კრებულისაცა არა  
ისმინოს, (ე. ი. ვინც არ დაემორჩილება მართლ-  
მადიდებელი ეკკლესიის სწავლას, ანუ ვინც ამ სწავ-  
ლას განზრახ გადამახინჯებს), „იყავნ იგი შენდა,  
ვითარცა მეზვერე და წარმართი (მათ. 18, 17)

მაცხოვრის ამ სიტყვების ძალით, წმიდა მოცი-  
ქულები ყოველთვის ურჩევდნენ ქრისტიანებს, რომ  
იგინი მორიცხვოდნენ მწვალებელთა და ცრუ მასწავ-  
ლებლებთან ერთობას, არ დაწყოთ მათთან ბაასი  
და არც თავიანთ სახლებში მიეღოთ ისინი.

მოციქულების შემდევ როგორც კი წმიდა ეკ-  
კლებია შენიშნავდა ახალ მწვალებელთ ანუ ცრუ  
მასწავლებელთ, რომელიც თავიანთ ცრუ სწავლას  
ავრცელებდენ მართლ მადიდებელთა შორის, პირვე-  
ლად ამ მწვალებელთ მიიწვევდნენ ხოლმე თავიანთ  
კრებებზე, ურჩევდნენ მათ თავი დაენებებიათ მათი  
ცრუ სწავლისათვის, რომელიც ეწინააღმდეგებოდა  
საღმრთო წერილს და ზეპირ გადმოცემას.

ქრისტიანების პირველ საუკუნეებიდან შეირად  
იმართებოდა მსოფლიო და ადგილობრივი კრებები;  
ამ კრებებზე დამსწრე წმ. მამები და ეკკლესიის მას-  
წავლებელნი ცდილობდნენ შთავევონებიათ მწვალე-  
ბელთათვის, რომ მათ შეეგონებინათ მათთვის შემ-  
ცდარი აზრი, და თუ თავისას მაინც არ დაიშლიდენ,  
მაშინ მათ გააძევებდნენ ხოლმე კეთილ მორწმუნეთა  
საზოგადოებისაგან, რომ ამით დაეფარათ მორწმუნე-  
ნი ამ მწვალებელთა ცრუ მოძღვრებისაგან.

უკანასკნელ მეშვიდე მსოფლიო კრებაზე წმ.  
მამებს შჯელობა ჰქონდათ იმ მწვალებელთა წინა-  
აღმდევ, რომელიც უარცყოფდნენ ხატების ხმარებას  
და მათდამი თაყვანის ცემას.

თუმც სასტიკად სდევნიდენ ხატების თაყვანის-  
მცემლო, მაგრამ ეს უკანასკნელნი წინ აღუდებ  
ასეთ დევნის და უმტკიცებდენ მდევნელთ, რომ ხა-  
ტის თაყვანის-ცემა შემოღებული იყო მოციქულთა  
ღრმიდან. ზეპირ გადმოცემით ვიტით, რომ თვით  
მაცხოვარმა ჩვენმა მისცა ავგაროს, ედესის მეფეს  
«თავისი ხელთ-უქმენელი ხატი». აგრეთვე ღვთის  
შშობელმა ნება მისცა წმ. მოციქულს ლუკას გადა-  
ელო მისი სახე. ამის გამო წმ. მამებმა მეშვიდე  
მსოფლიო კრებაზე 787 წელს დაადგინეს ხატის

თაყვანის-ცემა, და ხატის თაყვანის-ცემის ცეკველა  
წინააღმდევგნი, რომელიც ხატებს კერპებს უწოდებ-  
დენ, დიდის ამბით შეაჩვენეს და გააძევეს წმ. ეკ-  
კლესიის ერთობისაგან.

ვინაიდგან მეშვიდე მსოფლიო კრების შემდეგაც  
გამოჩნდენ კიდევ ხატების წინააღმდევგნი, ამიტომ  
ხატ-მბრძოლის მეფის თეოფილეს მეუღლემ, ნეტარ-  
მა დედოფალმა თეოდორამ, 842 წელს, ნება მისცა  
წმ. მამებს, რომ მათ ამ საგნის შესახებ კიდევ მო-  
ეწვიათ კრება კონსტანტინეპოლისი. ამ ადგილობრივ  
კრებაზე წმ. მამებმა სამუდამოდ დაადგინეს, რომ  
ხატების თაყვანისცემა არის ცემმარიტი დოლმატი  
(კანონი სარწმუნოებისა) მართლ-მადიდებელი ეკ-  
კლესიისა, რომელიც ამ მხრით განიჩევა სხვა-და-  
სხვა მწვალებელთა საზოგადოებისაგან, როგორც  
მაგალით. ლოთრანგების საზოგადოებისაგან, რომე-  
ლიც უარსა ჰყოფს ხატების თაყვანისცემას. ამ უკა-  
ნასკნელ კრებაზევე დაადგინეს: შვიდი მსოფლიო  
კრებათა ცეკველა წინააღმდელი დოლმარები ყოველთვის  
წმიდად და შეუცვლელად იქმნეს დაცული, — ცეკვა  
უწინდევლი და ახლანდელი მწვალებელნი, რომელიც  
წინააღმდევგნი არიან ამ დოლმატებისა, იქმნენ გან-  
დევნილი ეკკლესიისაგან. ამ დოლიდგან დადგენილია,  
რომ დიდი-მარხვის პირველ კვირს ყოველ წლობით  
თითოეულს ოლქში ანუ ეპარქიაში დიდის ამბით  
შესრულებულ იქნეს საღმრთო წესი — «გართლ-მა-  
დიდებლობის დღესასწაულობა».

ეს დიდი და შესანიშნავი საღმრთო მოქმედება  
დღეს შემდეგი სახით სრულდება.

როცა უამნობა გათავდება, წირვის წინ, და ხან  
წირვის გათავების შემდეგ, მღვდელ-მთავარი სრულად  
შემოსილი გამოდის საკურთხევლიდან არქიმინდრი-  
ტებთან, მღვდლებთან და მთავარ-დიაკვნებთან ერთად  
დგება ჩვეულებრივ აღვილს. სამღვდელო პირნი გა-  
მოიტანებენ შუა ეკკლესიაში ორ ხატს: მაცხოვრისას  
და ღვთის-მშობლისას და დასვენებენ მათ ანალო-  
ლიაზე, შემდევ იწყება «მართლ-მადიდებლობის წესი»,  
რომელიც თავისი შინაარსით და წესით არის სამად-  
ლობელი საგალობელი ზოგიერთი განსხვავე-  
ბით.

ეპისკოპოსის ჩვეულებრივი ასამაღლებელის შემ-  
დეგ გალობენ «მეუფეო ზეცათაო»-ს, იკითხება  
წმიდაო ღ... და მეოთხე ფსალმუნი, რომელშიაც  
ურჩევენ უსჯულოთა და ურწმუნოთ, რომ მათ არ  
აღიმაღლონ რქა თვისი და არ აუგონ ღმერთი. ამ

ფსალმუნის შემდეგ წარმოითქმის დიდი კვერექსი, რომელშიაც, სხვათა შორის, ვევედრებით უფალს, რომ მან თავისი მოწყალების თვალით გადმოხედოს თვის წმიდა ეკლესისა და დაიცვას იგი უფრებელიდ მწვალებლობისა და ცრუ მორწმუნებისაგან, მთანიჭის მას მშეიღობა თვისი. რომ მან სული წმიდის ძალით დაცხროს ყოველ გვარი განხეთქილება და მართლ-მადიდებლობის ყველა წინააღმდეგთა შეიგნონ კეშმარიტება, რათა დაკარგულნი ცხოვარნი შეუერთდენ თავიანთ მოძმეთ; ვევედრებით უფალს, რომ მან თავისი ნათელით განანათლოს ურწმუნოთა დაბნელებული გონება, ხოლო მორწმუნენი განამტკიცოს მართლ-მადიდებლობასა შინა.

შემდეგ გალობენ ტროპრებს, და იკითხება სამოციქულო, რომელშიაც ეკკლესია თხოვს თავის მორწმუნე შვილებს: «მოერიდონ მათ, რომელნიც სთესენ შურსა და განხეთქილებას იმ სწავლის წინააღმდეგ, რომელსაც მათ ამცნებს ღვთის სიტყვა. ვინაიდგან ასეთი ხალხი ღმერთს კი არ ემსახურებიან, არამედ თავის მუცელს და თვისი ენა-მჟევრული ლაპარაკით აცდენენ გულ-წრფელთ. შემდეგ წაიკითხება სახარება.

მღვდელ-მთავრისაგან ლოცვის წაკითხვის შემდეგ პირველი მთავარ- დიაკონი დგება წინდაწინ მოზადებულ ადგილზე (კათედრაზე), პირველად წარმოითქმას სამ გზითი ქებას ღვთისადმი, რომელმაც შექმნა და გამოიხსნა კაცთა ნათესავი. შემდეგ ხმა მაღლა წარმოითქმას სიმვოლო სარწმუნოებისას და, მისი წაკითხვის შემდეგ, იტყვის: «სარწმუნოება ესე არს მოციქულთა, სარწმუნოება ესე არს მართლ-მადიდებელთა, ამა სარწმუნოებითა ქვეყნიერება დამყარებულ არს. შემდეგ უჩვენებს იმ წესებს, დოლმატებს და ზეპირ-გადმოცემებს, რომელნიც სრულიად ეთანხმებიან საღმრთო წერილს, რომელნიც განხელულნი არიან შეიდ მსოფლიო და ცხრა ადგილობრივ კრებებზე, რომლებითაც ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ კეშმარიტი სარწმუნოების კრცელი განხილვის დროს.

ამ აღსარების ბოლოს იტყვის: «აღმჟურველთა გონებისა თვისისა მორჩილებასა შინა ღვთის განცხადებასა და მოღვაწეთა მას ზედა ვნატრით და ქებით ვაღიდებთ, ხოლო წინააღმდეგთა ამა კეშმარიტებისა და არა შემნანებელთა შეცოომისათვის თვისისა მაგალითისამებრ ქრასტე მაცხვრისა და მისი ეკკლესისა განვაგდებთ და შევაჩვენებთ».

შემდეგ სამ გზით წარმოითქმას მთავარ-დიაკონი და სამჯერ იმეორებენ სამღვდელოთ დასნი, ანუ მგალობელნი, სასტუკ სიტყვას ანაფემსა (ანუ განდევნას ეკლესიდგან).

პირველად მათზე, რომელნიც უარსა ჰყოფენ ღვთის არსებობას და ცრუდ ამტკიცებენ, რომ, თითქო, ეს ქვეყანა თავის თავად იყოს გაჩენილი უღვთოთ ტე მას, თითქო არ განაგებს ღვთის განგებულება.

მეორეთ მათ, რომელნიც ამბობენ, რომ ღმერთი არ არის სული, არამედ ხორცი, რომ იგი არ არის მართლ-მსჯული, მოწყალე, ყოვლად შემძლება ყოვლად მცოდნე და აგრეთვე წარმოითქმენ მასზე სხვა უწესო სიტყვებსაც.

მესამედ მათზე, რომელთაც არა სწამთ, რომ სამების ყველა პირი თანასწორნი არიან.

მაცხოვრის ქვეყანად მოსვლას და ცოდვებისაგან ჩვენ გამოხსნას რაცხვენ უსარგებლოდ.

არ წამთ სახარების სიტყვა.

არ მიაჩიათ წმ. ღვთის მშობ. მარადის ქალწულად.

არ სწამთ წინასწარმეტყველების და მოციქულების ნაწერები, როგორც სული წმიდისაგან შთაგონებული.

უარსა ჰყოფენ სულის უკვდაებას, ქვეყნის დასასრულს, მომავალს, უკანასკნელს, საშინელს მსჯავრს ქრისტესას, და შემდეგ საუკუნო ნეტარებას მართალთა და საუკუნო წვალებას ცოდვილთა და სხ...

ხოლო ყველა მათ, რომელთაც უკვე განისვენეს მართლ-მადიდებლობასა და კეთილ ცხოვრებასა შინა, მეფეთა, მთავართა, როგორც კეშმარიტი სარწმუნოების და ეკკლესის მფარველთ, აგრეთვე მართლ-მადიდებელ მწყემსთ და მასწავლებელთ და ქრისტეს ეკკლესის ყველა აღმსარებელთ უთვლიან «საუკუნო ხენებას».

ბოლოს თავდება წესი მღვდელთ-მთავრის მიერ შემდეგი ლოცვით:

«წმიდაო სამებაო, აღიდენ ესენი და დაამკიდრენ მართლ-მადიდებლობასა შინა დასასრულადმდენ; ხოლო გარყვნილნი და შემაგინებელნი მართლმადიდებელი სარწმუნოებისა და ქრისტეს ეკკლესისა და წინააღმდეგნი მოაქციენ, რათა სუნან საუკუნო კეშმარიტებანი შენნო, მეოხებითა ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩვენისა ღვთის-მშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა და ყოველთა წმიდათა. ამინ,,

შემდეგ მღვდელ-მთავარი იტყვის: დილება შენდა ღმერთსა კეთილის მყოფელსა ჩვენსა უკუნისამდე.

შემდეგ გალობენ: „შენ ღმერთსა გაქებთ“, ბოლოს ჩვეულებრივად ჩამოილოცენ, ეამ ბორებიან ჯვარს ტე ხატებს: მაცხოვრისას და ღვთის-მშობლისას.

## ახალი :შპები და შენიშვნები.

უმაღლესის რესკრიპტით საქართველოს ექსარხოს ვლადიმირი დანიშნულ იქმნა მოსკოვის და კოლომენის მიტროპოლიტად, ხოლო ხოლმესისა და ვარშავის ორქიეპისკოპოსი ფლავიანე—საქართველოს ექსარხოსად.

\*\*

მაღალ უკულად სამდვიწლო არქიეპისკოპოსი ფლავიანე, ექსარხოსი საქართველოისა, დანიშნული ნებითა ხელმწიფე იმპერატორისა, ჩამომავლობით გოროდეცკის აზნაურთაგანის, სიმბირის გუბერნიისა. ყოვლად სამდვიწლო ფლავიანე დაიბადა 1840 წელში, ერთი კაცობრაში ერქვა ნიკოლოზი. პირველი განათლება მიიღო ორლოვის გიმნაზიაში და შემდეგ მაღალი სწავლა დაასრულა მოსკოვის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. შემდეგ განათლების მიღებისა თავის სურვილისამებრ სამოც წლებში შევიდა ერთ მონასტერში მოსკოვის ეპარქიაში, იყო ერთ ღროს შესანიშნავ ოპტინის უდაბნოში და შემდეგ მიიღო მდვიწლეობინის უფროსი და მსახურებდა სიმფეროპოლის ეპისკოპოს გურისთან. ათი წელიწადი (1878—1883 წლადმდე) იყო წევრად და უფროსად ჩინეთის გისისა პეკინში; 1885 წელში ოლყვანილი იყო ეპისკოპოსის ხარისხზე აკადემიურაზე. ნახევარი წლის შემდეგ გარდაყვანილ იქმნა ხოლმო-ვარშავის ეპარქიის ქორეპისკოპოსის ადგილზე; 1892 წ. დანიშნულ იქმნა ხოლმო-ვარშავის მთავარ-ეპისკოპოსად.

\*\*

მცხეთაში 22 თებერვალს დიდის ამბით შესრულდა წირვა და პანაშვიდი ასი წლის თავზე მეფის ირაკლი მეორის დასაფლავების დღიდან. ამ დღეს მწირველი ბრძანდებოდა მაღალ ყოვლად სამდვიწლო საქართველოს ექსარხოსი ვლადიმირი გორის ეპისკოპოსის ალექსანდრეს თანამწირველობით. შვენიერი სიტყვა წარმოსთქვა მამა ორქიმანდრიტმა ლეონიდმა. ამავე დღეს ქუთაისში, ფოთში და თითქმის ყოველ ადგილს პანაშვიდი იყო გარდახდილი ამ გმირი მეფის მოსახენებლად.

\*\*

• 3 თებერვალს გარდაიცვალა მიტროპოლიტი მოსკოვისა სერგი. პანაშვიდზე დაესწრო მათი აღმატებულება უწმ. სინოდის ობერ-პროკურორი თავისი ამხანაგით. გარდაცვალებული მიტროპოლიტის გვამი მოსკოვში წამოასვენეს და დიდის პატივით დაასაფლავეს.

\* \* \*

სერგიაში გარდაიცვალა მიტროპოლიტი მიხეილი, მღვდელ-მთავარი შესანიშნავი თავის მოღვაწეობითა და გულკეთილობით.

\* \* \*

თბილ. ქალაქის გამგეობის სხდომაზე 16 თებერვალს განხილულ იქმნა კითხვა მეფე ირაკლის სახელის პატივის ცემის შესახებ, მისის გარდაცვალების დღიდან ასის წლის შესრულების გამო. როგორც დააღინა ქალაქის გამგეობამ ისე: 1) გარდახდილ იქმნა 22 თებერვალს 12 საათზე პანაშვიდი გამგეობის დარბაზში მეფე ირაკლი მეორის სულის მოსახენებლად და ამ პანაშვიდზე მოწვეულ იქნენ ტფილისის გუბერნატორი, მაზრის თავად-აზნაუროზის წინამდლოლი, მეფე ირაკლი მეორის სახელის პატივისცემის აღმოსაჩენად დანიშნულ კომისიის წევრნი, ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს წევრნი, პოლიციელისტერი, მისი თანაშემწე, გამგეობის ხმოსნები, ხელოსანთა მოურავი, ამქართა მამასახლისები და მათი თანაშემწენი, მოქალაქეთა მამასახლისი დეპუტატებით, ვაკართა მამასახლისი ამხანაგებით და ქალაქის გამგეობის ყველა მსახურნი, ამასთანავე ქალაქის სასწავლებელთა და სახელოსნო სასწავლებლის მართლმადიდებელთა და სომეხ გრიგორიანთა საღმრთო სჯულის მასწავლებელნი. 2) 1898 წელს დასაარსებელ სამ საქალაქო სკოლას ეწოდა ირაკლის სკოლები, რომელთა ნაცვლად გახსნილ იქმნა სამი სხვა ახალი სკოლა 1899 წლის ხარჯზე აღრიცხვით, ამასთანავე მეფე ირაკლი მეორის სახსოვრად ექსარხოსის მოედნიდან სიონის ქუჩისაკენ მიმავალს ქუჩას უწოდეს—ირაკლის ქუჩა.

\* \* \*

ბრიუსოვის კალენდარული წინასწარმეტყველება ტარისზე და საკვირველად სრულდება. ისეთი ქარები და ყივნებია მთელს იმერეთში, რომ მოხუცებულებს არ ახსოეთ. ხალხი დიდ გაჭირვებაშია.

იმერეთის ეპარქიის გაბრიელის სასწავლებელი. კვირას, 8 თებერვალს, ქუთ. საეპარქიო საქალებო სასწავლებელში, რომელიც დაარსებულია აწ განს-ვენებულის ეპისკოპოსის გაბრიელის სახელობაზედ იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებისაგან, გაიმართა სალიტერატურო დილა სანიმუშოდ. ამ დილაზე სამასწავლებლო რჩევას არავინ არ მოუწვევია, მაგრამ მოსწრდილი საქალასო ოთახი საზოგადოებით ისე გაიტენა, რომ ნემსი არ ჩავარდებოდა. საზოგადოების წინ გამართული იყო პატარა ესტრადა, რომლის აქეთ-იქით იდგნენ მოსწავლე ქალების მგალობელთა გუნდები. ესტრადაზედ თამამად ადიოდნენ პატარა მოსწავლე ქალები და თამამად კითხულობდნენ რუსულსა და ქართულს ლექსებსა და იგავ-არაკებს, ხოლო გუნდი ჰვალობდა სხვა-და-სხვა სა-გალობელს. იმისდა მიუხედავად, რომ სასწავლებელი ჯერ სულ ნორჩია (ოთხი-ხუთი წელიწადია, რაც არსებობს), მოსწავლე ქალები სრულის შეგნებითა და გრძნობით კითხულობდნენ ლექსებს და მწყობ-რად და სასიამოვნოდ გალობდნენ როგორც სასუ-ლიერო საგალობლებს, ისე საეროს. სულ პატარა ქალებიც კი მოსამზადებელის კლასისა სასიამოვნო სანახვის იყვნენ თავისის გაბედულის და აზრიანის კითხვით. ეს ჩჩილი ყრმანი ისე თამამად გამოდიოდნენ საზოგადოების წინაშე, თითქმ თავისს საკუ-თარის მშობლების წინ გამოდიანო.

ეს შენობა და ეკკლესია ერთ დროს მახლობლებმა მცხოვრებლებმა ითხოვეს შტატის ეკკლესიათ და კინალამ ხელიდან წაუვიდათ იმერეთის საღმღვდე-ლოებას, რომ ერთ კრებაზე განსვენებული ყოვლად სამღვდელო არ დაეთანხმებიათ და სკოლის გასახსნელად არ მოესურვებიათ იგი და ეკკლესიაც ამ სკოლისათვის. ამ ხანად სასწავლებელში სწავლობს ას ორმოც-და-ათამდის მოსწავლე; ეს რიცხვი ერთი-ორად გადიდება, როცა სასწავლებელი სრულს თავისს სახეს მიიღებს და დამთავრდება. წლიური ხარჯი რვას თუმნამდისაა. სასწავლებელს თავისი საკუთარი შენობა და ეკკლესია აქვს.

\* \*

ამ წლის 14 იანვრის, მოციქულთა სწორის ქართველთა განმანათლებელის წმიდა ნინოს მოგო-ნების დღეს, ყაზანის სასულიერო აკადემიის ტაძა-რში გარდახდილ იქმნა ქართული წირვა. მწირველი იყო I კურსის სტუდენტი მღვდელი ბესარიონ სე-ლაია, რომელსაც ეხმარებოდა დიაკონ-მონაზონი დავითი (ეჭვომე კაპასიძე). სტუდენტი მესამე კუ-სისა, ორივე შთამომავლობით ქართველი. წირვის დროს ჰვალობდნენ სტუდენტები, სასულიერო სემინა-რიის შეგირდებად ნამყოფნი (ქართველები და რუ-სები), ზოგიერთ საგალობელს ქართულად ასრულებ-დნენ. «საეკლესიო უწყება», ამ შემთხვევის გამო აღნიშნავს ზოგიერთ განსაკუთრებულ თვისებას ქა-რთული წირვა-ლოცვის კილოსას რუსულთან შედა-რებით. ყველაზე უწინ თვით ხასიათი კვერექსის წარმოთქმისა, სამოციქულოს და სახარების წაკითხვი-სა რამდენიმე სხვანაირია. რუსულად ექტენია ასამაღლებელი წარმოითქმის უმეტეს ნაწილად გაბმით და ერთი ნოტით, ძვირად ორით; სამოციქულო და სახარებას ან ამ ნაირადვე ვკითხულობთ ან და ხმის თან და-თან ამაღლებით, ასე რომ ბოლოს წარმოთქმული ხმა უმაღლესი და უძლიერესია. ქარ-თულ წირვა ლოცვაში სულ სხვა და სხვა გვარია კილო და ტემპი; სწრაფ რეჩიტატივს უთუთო თან სდევს პატარ-პატარა მელოდიური ფრაზები სამ ანუ ოთხ ტონ-შუა უკანასკნელი თვისება განსაკუთრებით სამოციქულოისა და სახარების კითხვას, საღაც ერთი მელოდიური ფრაზი განმეორებით წარმოითქმის. წირვის დროს. სამ ხმაზე გალობდნენ (ორი ტენო-რი და ერთი ბანი); უმთავრესი მელოდია წარმოა-დგენს საშვალო ხმას (მეორე ტენორი). თუმცა არც სხვა ორი ხმა მოკლებული მელოდიურ მიმო-ხვრას. მრავალ მელოდიანს ემჩნევა ის თვისება, რო-მელიც აქვს ძველებური საეკლესიო გალობას და აგრეთვე აღმოსავლეთურსა და რუსულ სანახოს სიმღერას: მელოდია თავდება არა ამ ძრითად კი-ლოზე, რომელზედაც დამყარებულია იგი, არამედ რომელსამე მახლობელ მონათესავე კილოზე. მელო-დია არ არის მრავალგვარი, მაგრამ საკმაოდ მდიდა-რია და წვრილ-წვრილი ძლიერს შესამჩნევი კილოებით არის სავსე. წირვას დაესწრო მრავალი სტუდენტები, ზოგიერთი პროფესიონი და მისი ყოვლად უსამღვდე-ლოესობა რექტორი აკადემიისა ანტონი.

## საისტორიო მასალა


## მიტროპოლიტი იონა (გერევანიშვილი)

მიტროპოლიტი რუსისა იყო გვარად გელე-ონის-შვილი, ხე კათოლიკოზის საჩუღლისა გაბრი-ელისა, იშვა იგი 1737 წ. და ეწოდა სახელიად იოანე·ალიზარდა იგი სიყრმიდგან კათოლიკოზის კარზედ და 16 წლისა კათოლიკოზის ანტონის 1-გან ხელ-დასხმულ იქმნა იეროლიაკვნად, 1753 წ. ქართლის მეფის თეიმურაზის მეორისა დროს კათოლიკოზმან ანტონიმ განდევნილმან ქართლით 1754 წ. წარიყ-ვანა იგი თან რუსეთს და სცხოვრებდა მასთან, რო-დესაც განაგებდა იგი ვლადიმირისა და იეროპოლისა ეპარხიასა, შემდგომად უკუ-მოქცევისა კათოლიკო-ზის ანტონისა ქართლში თან-მოჰკვა იგი მას და მიეცა არხიმანდრიტობა ჯვარის მონასტრისა, რო-მელიც 1787 წ. გაოხრდა ლექთაგან და აწ მასში სცხოვრებს ერთი ბერი. 1775 წ. აღყვანილ-იქმნა მიტროპოლიტად რუსის საეპარქიო კათოლიკოზე. სოფლისა ლელკამან, ვითარცა თვით სწერს იგი, მისცა იგი ეკულესისა სამსჯავროსა. განჩინებითა თვით მეფისა ორაკლი მეორისა 1780 წ. ჩამოერთვა მას ეპარქია და სამღვთო მსახურება მღვდელ-მთავ-რობისა და მღვდელ-მოქმედებისა, და იქმნა წარგზავ-ნილ პყრობილად დავით გარესჯაში. აქედამ იდუ-მალ განვიდა და ივლტოდა იმერეთად, სადაც არა შეწყნარებული, არცა მეფისა და არცა ეპისკოპოს-თაგან, წარმოგზავნილ იქმნა ქართლადვე. მოსრული თბილისს, ცხოვრებდა ეზოსა შინა წმინდისა გიორ-გისა ეკულესისა გარეგან ქალაქისა თბილისისა, ქაშოეთად წოდებულისა. აქედან იდუ-მალ ახალციხეში ფაშისთან, რომელმანცა განამგზავ-რა მუნიც კოსტანტინებოლეს, იმ აზრით, რომ მწუ-ხარებითა მიტევება მიეღო და კვალად ხსნილება პატრიარხისაგან ანტიოქიისა და დანიშნულიყო ჯა-ვახეთის ეპარქიაში ანუ ახალ-ციხეში.

მართლ-მაღიდებელთა პატრიარხთა პროკვპი კოსტანტინოპოლისამან და აბრაამ იერუსალიმისამან, დაუბრუქეს მას მღვდელ-მთავრობის პატივი და მოს-წერეს ამისთვის წერილი კათოლიკოზსა ანტონის და მეფესა ირაკლის ამისთანა მიტევება და გახსნა მიიღო

გერასიმესაგან ალექსანდრიის პატრიარხისა, დროსა მისვლისა მისისა ეგვიპტისა ქალაქსა ალექსანდრიაში ეგრეთვე პატრიარხისაგან ანტიოქიისა, რომელსაცა ეცუთვნოდა ძველად ეპკლესია ქართველთა. ესრეთ ალდგინებულმან მღვდელ-მთავრად, მოიხილა მრავა-ლნი წმინდანი ადგილი და მიგიდა ახატრიისა ქვე-ყანით მოლდავის. აქა დიდად შეწყნარებულ იქმნა უგანათლებულებისა თავადის პოტემკინისაგან, რო-მელიც დროთა ამათ ებრძოდა თურქთა. შემდგომად გარდაცვალებისა თავადისა პოტემკინისა უქაზითა იმპერატრიცა ეკატირინე მეორისგან 23 აგვისტოს 1792 წ. ერთგულებისათვის რუსეთისა ებობა მას პენსია 600 მანეთი წელიწადში და ცხოვრებდა კი-ევის ქალაქში. აქა დაყო მან 3 წელი და აღიარებ-დენ მას არხიეპისკოპოსად და არა მიტროპოლიტად. ამისათვის კიევიდან წარგზავნა უწმიდეს სინოდში თხოვნა, რათა არა წართმეოდა მას ხარისხი მიტრო-პოლიტობისა, რომლითაცა იწოდებოდა იგი საქარ-თველოში. ამა საგანზედ დაიმოწმა გაიოზ ეპისკო-პოსი მოზღვოებისა და მაქსიმე კათოლიკოზი აფხაზე-თისა, რომელიც ამ დროს კიევში სცხოვრობდენ და წარადგინა გრამატიკა, მიცემული კათოლიკოზი-საგან. 1775 წ. სეკდემბრის 28 უწმიდესისა სინოდა-საგან შეკითხული გაიოზ 1 სეკდემბრიდან 1793 წ. მოწმობს, რომელ მოქცეულმან რუსეთით საქართვე-ლოდ, იხილა იოანა მიტროპოლიტობისა ხარისხით მწყემსად რუსისა და სურამისა, ხოლო მაქსიმე კათალიკოზი კიევისა მცხოვრები 22 დეკემბრიდან 1793 წ. მოახსენებს სინოდსა, რომელ იმერეთით ქართლისა გარდასრულმან იხილა იგი იოანა მროველი რუსისა დაისადგურა მასთანვე, ვითარცა მიტროპო-ლიტთან. ამა ხარისხზედ იტყვის იგი: «ნამდვილ იყო აღყვანილ კათოლიკოზისა და მეფისაგან».

იმავე სინოდისა საქმიდან სჩანს, რომელ 25 ნოემბერს 1799 წ. ითხოვა, მოსკოვში ცხოვრება. ნება რთული მივიდა მუნ და სცხოვრებდა 27 წ. აქა მოხუცებული ჩუდოვის მონასტერში 4 აგვის-ტოს 1821 წ. დასაფლავდა პოკროვის მონასტერსა ეკულესისა შინა მოსახელისა მისისა, რუსთა ეპკლე-სის წმინდისა და სასწაულთ-მოქმედისა იონასსა, ყოვლისა რუსეთისა მიტროპოლიტისა წინაშე სამე-ფოსა აღსავლისა კარისა.



## სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობის სამწმართებასა და კეთილგანებაზე

საუბარი დიდ-მართვის მესამე პატირიაკეზე.

ჯერსა შენსა თაუენსა ვსცემთ, მეუფეო.

რომელსა უნებს შემდგომად ჩემდა  
მოსელი, უარჲყავნ თავი თვისი და  
აღილენ ჯვარი თვისი და შემომიდე-  
ვინ მე (მარკ. 8, 34).

დიდი მარხვა ვნების კვირიაკის და ამ კვირია-  
კეში გადამვალი ორი დღისა, ლაზარეს შაფათის და  
ბზობის კვირისა, მაცხოვრის მარხულობის მაგალი-  
თისამებრ, გრძელდება სრული ორმოცი დღე. ამი-  
ტომ ეს მარხვა იწოდება წმიდა და დიდ მარხვად.  
დიდი მარხვა იწყება ორშაფათს, და თავდება ბზო-  
ბის კვირიაკის პარასკევს. მესამე კვირიაკე შეადგენს  
დიდი მარხვის პირველ ნახევარს.

მესამე კვირიაკის ცისკარჩე, დიდი საღიძებელის  
შემდეგ, მლვდელი აასვენებს წმიდა ცხოველმყოფელ  
ჯვარს ტრაპეზიდან, დაისვენებს თავზე და გამოაქვს  
შეს ეკკლესიაში, რომ ყველამ დიდის მოწიწებით  
თაყვანი სცეს მას და გამლორის.

რა მნიშვნელობა აქვს ამ საღმრთო ჩვეულებას?  
სხვათა შორის შემდეგი: წმ. ეკკლესია ფიქრობს, რომ  
თანახმად მისი წესდების და მნებისა, ყველა ჩენ,  
მისმა შვილებმა, მთელი დიდ მარხვის პირველი ნა-  
ხევარი გავატარეთ წმიდათ, რომ მთელი ეს დრო  
ვერიდებოდით ყოველივე ცუდ საქმეს, არ ვეტანე-  
ბოდით ქვეყნიურ მხიარულებას და დროს ტარებას, რომ  
ჩენ ამ დროს ვატარებდით კეთილს საქმეებში,  
ლოცვაში, და ვაზრდობდით მხოლოდ უბრალო

მცენარეულობის საჭმელით, ვერიდებოდით ლვინის  
და ზეთის ხმარებას და თევზეულობას, ზოგიერთ  
დღებს გარდა, როცა ეს საჭმელები ნებადართულია  
ეკკლესის ტიბიკონით.

წმ. ეკკლესიამ უწყის, რომ მარხვა, როგორც  
ლვაწლი, ჩვენთვის არის საძნელო და ზოგისთვის  
სრულიად შეუძლებელი და ამიტომ როცა მლვდელი  
ჯვარს გამოასვენებს შეს ტაძარში, ამით, თითქმის,  
გვეუბნება: „შვილნო ჩემნო საყვარელნო! მე ვხედავ,  
რომ თქვენ უკვე დაიღალეთ მარხვით და მოთმენით  
დიდ მარხვის პირველ ნახევარში. მაგრამ მოითმინეთ  
კიდევ, გამხნევდით ჯვარის შეხედვით მარხვის მეორე  
ნახევარშიაც, რათა წმ. სულით და ხორცით და წმ.  
მონაწებით მხიარულად მივეგებოთ ქრისტეს ბრწყინ-  
ვალე აღდგომას!

თქვენ გასუსტებს თქვენი სულ-მოკლება, ვი-  
ნაიდგან თქვენ მიჩვეული არა ხართ სასტიკ მარხვას;  
მაგრამ მოიგონეთ, რომ მაცხოვარმაც კი, რომელიც  
უდანაშაულოდ გამსჭალულ იქმნა ჯვარზე, თავის  
ნებით, თქვენი ცხონებისათვის, იმარხულა ორმოცი  
დღე,—მაგრამ ისე კი არა, როგორც ჩვენ ვმარხუ-  
ლობთ, არამედ ორმოცი დღის განმავლობაში არა-  
ვითარიმე საჭმელი და სასმელი არ მიუღია! რისთვის  
აღირჩია მან მარხვა? აღიად მისთვის, რომ მოგვა-  
გონოს ჩენ, ცოდვილთა შთამომაულობას, რომ უმ-  
თავრესი, ადამის პირველი ცოდვა იმაში მდგომარე-  
ობდა, რომ მან ჭამა იკრძალული ხის ნაყოფი.

ამით ჩენმა ზეციურმა მასწავლებელმა მის მო-  
წავეთ გვიჩვენა ნამდვილი საშუალება, რომლითაც  
შეიძლება წარიხოცოს თავდა-პირველი ცოდვა. ეს  
საშუალება არის წმიდა და სასტიკი მოთმინება.

და რამდენი შინაგანი და გარეგანი წვალება  
დაითმინა უდანაშაულოდ მაცხოვარმა ამ პირველი  
ცოდვისათვის? შური, ძვირი, ცილის წამება, დევნა  
ყბაში ცემა, ყურის წევა, ყოველივე ეს დაითმინა,  
სანამ ფაზაკებ შეს არ გააკრეს ჯვარზე, რომელიც  
(ჯვარი) იმ დრომდე სამარცხინო იარაღი იყო. დღეს  
ეს ჯვარი, რომელზედაც გამოხატულია ჯვარცმული  
ქრისტე, თქვენ თვალ წინ ასვენია.

არავის თქვენგანს, ჩემ საყვარელნო შვილნო,  
—განაგრძობს ეკკლესია — არ შეხვდება ქვეყანაზე  
ისეთი წვალება, თვით უდიდესი და საშინელი დამ-  
ნაშაობისათვისაც კი, როგორც მაცხოვარი იინო ჩვენ  
ყველასათვის უდანაშაულოდ და უცოდველად!

ა თქვენ წინაშე ცხოველს მყოფელი ჯვარი, ტაძრის შეუ, როგორც ხე ცხოვრებისა სამოთხის შეუ. მოერიდეთ აღკრძალულ ნაყოფთ! და ყოველივე თქვენი მწერალების დროს, როგორც კი იგრძნოთ სულში ანუ სხეულში რაიმე სისუსტე, ანუ სულ-მოკლეობა და მოწყენა, მაშინვე თქვენი მხედველობა მიაქციეთ ამ ცხოველ მყოფელ ჯვარს. დავარდით ამ ჯვარის წინაშე თვალ-ურემლიანი, გამოისახეთ ჯეროვანად ჯვარი. და თქვენ მაშინვე შენიშვნავთ, რომ, როგორც მძიმე ტვირთი, მოგშორდებათ მოწყენილობა, თქვენ განთავისუფლდებით სულ-მოკლეობის, ეჭვიანობისა და მოწყენილობისაგან. მათ ნაცვლად თქვენს სულში დაუყონდება სიხარული, სარწმუნოება და სიყვარული, როგორც მაღლნი სული წმიდისა, რომელნიც მოგვენიჭა ჩენ ჯვარისაგან, უფლის მოწყალებით, რომელიც ეცვა ჯვარს ჩენთვის. მაშინ თქვენთვის სამძიმო არ იქნება სხეულის მოქაცულობა, მაშინ თქვენთვის საშიშარი და შემაწუხებელი არ იქნებიან: სიღარიბე და უბედურება, ცილის წამება ანუ დევნა სიმართლისთვის, თვით ცხადი შეურაცხებაც კი არ გეწყინებათ იმ ბოროტხალხთაგან, რომელნიც დღესაც, როგორც ოდესებე, წინაღუდებიან უფალს და ქრისტეს, და ცდილობენ, რათა შეურაცხყონ და სასიკვდილოდ მისცენ უდანაშაულო პირნი, რომელთაც ქვეყნის შექმნიდან დღემდე სდევნის ცოდვილ კაცთა სიბოროტე. ამასთან გაიხსნე, ჩემი მეგობარო ქრისტიანო, რომელსაც გდევნიან შენი მტერნი, შეიძლება რაიმე შენი დამწაშაობისათვისაც, რომ ყოველივე შენი უბედურება, მარცხი, შევიწროება, წყენა და წვალება—არაფრად არ ჩაითვლება მაცხოვრის იმ წვალებასთან, რომელიც მან ბაგიდან მოყოლებული თვით საფლავამდე უდანაშაულოდ დაითმინა ჩენთვის.

შენ არ შეგიძლია ზიდო ის მძიმე ჯვარი, რომელიც მაცხოვარს მიჰქონდა გოლგოთაზე: შენ მალე დავარდები გზაზე ამ ჯვრის სიმძიმისა გამო და შეიძლება ერთი ფეხიც ვერ გადადგა. და ამისათვის მაცხოვარმა, რომელმაც იცის ჩენი სულის და სხეულის უძლეურებანი, არ უთხრა მას, რომელსაც უნდოდა მაცხოვარს გაჰყოლოდა: „ალილე ჯვარი ჩემი“, ხოლო რქვა: „ალილე ჯვარი შენი, ე. ი. აილე ჯვარი შენი ძალ-ლონის შეძლებისა და გვარად, რომელიც შენ შეგიძლია მიიტანო, სხვათა შემწეობით, შენს გოლგოთამდე ანუ საფლავამდე. მერწმუნე, რომ

ჩენზე მაცხოვარი არ მოავლენს ისეთ დიდ და სასტიკ განსაცდელთა, რომელნიც აღემატებიან ჩენს მოთმინებას. და მხოლოდ ჩენი სულ-მოკლეობაა მიზეზი, რომ ჩენ უბრალო გაქივრების დროს მზათ ვართ სამდურავი წარმოვსთქვათ არა მარტო კაცთა შესახებ, არამედ თვით ღმერთზედაც კი.

აიღე—როგორი ჯვარიც გსურს და სინდისიერად, მორჩილებით, კეთილ სულობით გამოიძიე, ნუ თუ მართლა იგი ისე მძიმეა, როგორც ეს შენ გეჩვენება ერთის შეხედვით, ვიდრემდის შენ ჯერ კიდევ არ შეჩვევიხარ მის ზიდვას?

შეიძლება შენ გაწყენის ნათესავებმა ანუ გარეშე პირებმა, რომელთაც ხელიდგან გამოგაცალეს შენი ქონება და ღარიბად დაგანარჩუნეს?

მძიმეა ეს ჯვარი! „ადვილი არ არის“, —იტყვი შენ! მართლაც რომ მძიმეა, მაგრამ არც ისე, როგორც შენ ფიქრობ. ყოველიფერს შეიძლება შეეჩიო.

ხომ არიან შენებრ უბედური და საწყალი ხალხი, და მასთან მრავალ ცოლ-შვილიანი, რომელნიც თავისი შრომით ძლიერ-ძლიობით შოობენ დღიურ საზრდოს. მაგრამ იგინი სულ-მოკლეობაში არ ვარდებიან: იგინი დილიდან საღამომდე შრომობენ, და სიმშილით არ იხოცებიან. მართალია, იმათ არ უწყიონ სხეა-და-სხეა გულისთქმანი და მხიარულება, მაგრამ რა გემრიელია, რა მოსვენებულია მათი ძილი ღარიბულ ქოხში, უბრალო ჩალის საწოლზე, მძიმე შრომის შემდეგ, როცა წმინდაა მათი სინდისი! რა გემრიელია მათთვის გამხმარი ჟურიც კი წყლით, — მათთვის საქმარისია უბრალო ძონძი მათი სხეულის დასათმობათ, რომლისაგან თვით დიდ ყინვაშიაც კი წვეთ-წვეთად ჩამოდის ოფლი ძლიერი შრომის დროს! და როგორი ჯანმრთელებიც არიან! რაისაგან არის ეს? რასაკირველია იმისაგან, რომ იგინი შეეჩიონ სიღარიბეს და მძიმე შრომას და არ აწუხებსთ სხვა-და-სხვა გემრიელი საჭმელების შოვნა», მომიგებ შენ. მაშენც რატომ არ მოკიდებ, რაც ძალი და ღონე გაქვს, ხელს ამ ჯვარს, რომელიც მიჰქონდა თავისი მხრით მაცხოვარს და არ წაიღებ მოთმინებით, უდრტვინელად, მზგავსად ტანჯული ლაზარესა? შეიძლება შენი ძალა სუსტი იყოს? სოხოვე შემწეობა ხალხს, რომელთაც შეუძლიათ დაგეხმარონ.

ყველანი ხომა ისე შეუბრალებელი არ არიან, როგორც სახარებაში მოხსენებული მდიდარი, რო-

მელიც თვითონ მეფურად იმსებოდა, ყოველ დღე მხიარულობდა, აქმევდა და ასმევდა არა მარტო თავის მეგობრებს, არამედ თავის მსუქან ძალლებსაც, და ლაშარეს თავისი მდიდრული სტოლიდან ჩაუკინულ ნასისვალზედაც უარს ეუბნებოდა. შეიძლება ერთმა უარი გითხრას, მეორემ შეიძლება კიდევ გამოგადოს, მაგრამ შეიძლება მესამეს, მეხუთეს, ან მეათეს შეეცოდო და რითიმე შეგეწიოს: და შიმშილით არ მოკვდები. რა ვენათ? სილარიბეში რა დროს ამპარტავნებაა, ყველის თავი დაუკარი, უფრო გულმოდგინედ შეევედრე თვით სასტიკ მდიდრებსაც, რომელნიც გვანან სახარებაში მოხსენებულ მდიდარს, რომელსაც არც ღვთის ეშინოდა და არც კაცისა ჩუხვენოდა, მაგრამ მაინც აღასრულა თხოვნა საწყლი ქვრივისა მხოლოდ მისთხვის, რომ ის საწყალი ქალი მას დიდ ხანს და ხშირად თხოვდა და თავის თხოვნით თავი მოაბეჭრა.

ცილი ხომ არ დაგწამეს შენ ბოროტმა კაცებმა? ეს, მართლაც, რომ საწყენი და შემაწუხებელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა დარწმუნებული ხარ და ცხადათ გრძნობ, რომ შენ ყოველთვის პატიოსნად და კანონიერად იქცეოდი ღვთის წინაშე და ყოველ შენ მოყვას ეწეოდი სიტყვით და საჭმით. მაგრამ მოიხსენე: ბოროტ კაცებს ვისთვის არ დაუწამებით ცილი? მათ თვალში უბიშო იოსები შეიქნა სხვისი ქალის შემაცდენელი, რისთვისაც იგი, საქმის გამოუძიებლად, დააპატიმრეს კიდევ. უდანაშაულო სუსანა, რომელიც ვერ დაითანხმეს საზიარომა და გარყვნილმა მოხუცებულებმა, რომელთაც სურდათ ამ ქალის შეცდენა, ბოლოს იგი ჩათვალეს მემრუშეთ და კიდევ სასტიკად უნდა დაესჯათ, რომ იგი არ დაეფარა თვით ღმერთს, რომელმაც მოუკლინა ამ ქალს მფარველად და მის მდევნელთა მამხილებელად წინასწარმეტყველი დანიელი; მან ოკლედ და ცხადათ დაამტკიცა სუსანას უმანკოება და ცილის წამება მსაჯულთა. მაგრამ რა საჭიროა მაგალითების დასახელება, როცა ჩვენ თვითონ ვიცით, რომ თვით მაცხოვარს ქვეყნისას — ამ სიწმიდეს არა ერთ გზის დასწამეს საოცარი ცილი.

სახარებიდან ვიცით, რომ ქრისტეს უყვარდა უბრალო კაცებთან საუბარი და მათ ღარიბ ქოხებში ხშირად დაიარებოდა სასწავლებლად, ამისათვის ქრისტეს რაცხდენ მეზვერეთა და ცოდვილთა მეგობრად (მათ. 11, 19), უბრალო და ღარიბი დურგლის შვი-

ლად (მათ. 11, 19) (მარკ. 6, 9), უწოდებდენ შემთხვევალებს. იმისათვის, რომ იგი იქმოდა სასწაულებს, მას ეძახოდენ ჯადოქარს, თვალთმაქცეს და იმის გამო, რომ მაცხოვარი ჰქონდებდა ეშმაკეულთ, მას უწოდეს ბელზებულის, ეშმაკთა მთავრის თანამოზიარე (მათ. 12, 24). ვინაიდგან მაცხოვარს მუდამ გარს ეხვია ხალხი, რომელიც ისმენდა მისს ქადაგებას, მას დასწამეს, თითქო, იგი აჯანყებდა ხალხს, იყო წინააღმდეგი კეისრისა, რისთვისაც მიუსაჯეს მას თვით სამარტვინო სიკვდილით დასჯა — ჯვარზე ცმა.

მაგრამ სიმართლემ, რომელიც მჩესაებრ ბრწყინვალეა, მთელს ქვეყნას დაუმტკიცა მაცხოვრის უმანკოება და სხვებისაც, რომელიც უდანაშაულოდ იქმნენ წამებულ. ყველა ამ ცილის მწამებლებმა, დიდი ხანია, დაიმსახურეს ღვთისაგან სასჯელი, რომელიც ღლესაც კისერზე აწევს მათ მონათესავეთ. იმ ორმოში, რომელსაც ისინი სხვას უთხრიდენ, თვითონ ჩავარდენ და თავის დღეში ვერ ამოვლენ იქიდან.

ასე სასტიკად სჯის უფალი ცილის მწამებელთ, ასე სჯის ბოროტი ენის მექონეთ, რომელნიც სდევნიან და შეურაცხებას აყენებენ მართალ! და ღვთის ასეთ სასჯელს ზოგიერთები თავის სიცოცხლეშივე ხედვენ ან თავიანთ თავზე, ან თავიანთ შვილებზე, ანუ თავიანთ მონათესავზე. მხოლოდ ჩვენ არ უნდა ვცდილობდეთ სამაგიერო გადაუხადოთ ჩვენ მტრებს, ეს უნდა მივანდოთ ღვთის მართლ-მსაჯულებას. ჩვენ პირიქით, მზგადას მაცხოვრის ქადაგებისა და მაგალითისა, უნდა ვილოუციდეთ მათთვის და შემთხვევის ღროს უნდა ვცდილობდეთ, რომ მათ ნაცვლად ბოროტისა ვკუთოთ კეთილი.

კიდევ ვის რა გაჭირვება აწუხებს? თითოეულ ჩვენგანს ბევრი რამ გაჭირვება და მწუხარება ადგიკარზე.

ზოგიერთები გაჭირვებას და მწუხარებას ხედვენ სიმქრიიში, ობლობაში და უშვილობაში, ზღვიერთ უბედურებად მიაჩნიათ დიდი ცოლ-შვილი, და არ იციან, როგორ ასაზრდოვონ შვილები, განსაკუთრებით ჩვენს ღროში, როცა მოთხოვნილება მომეტებულია, ხოლო ამ მოთხოვნილებათა დასაქმაყოფილებელი საშუალება ნაკლები და ძნელი მოსაპოებელი. სამძიმოა ჯვარი იმისათვისაც, ვინც სამსახურშის და შრომასთან შედარებით მომეტებული

სასყიდელი ეძლევა. მით უშეტეს სამძიმოა ეს ჯვარი მათვის, რომელთაც ავადმყოფობისა ანუ მეუფროსეთა ჯინიანობით, ან თვისი აჩხანაგების მეშურნეობით დაჭკარებეს ადგილი და სამსახური და თავისი დიდი სახლობით ულუქმა პუროდ დარჩენ. მშიმეა ჯვარი უშეილობის დროსაც, მაგრამ უფრო მომეტებულად მშიმეა იგი ბევრი შეილიანობის დროსაც. სამძიმოა ჯვარი შეურაცხების დროს, რომელსაც ხან-დის-ხან ჯეროვანად დავიმსახურებთ ხოლმე ჩვენი უმზგავსო საქციელით; კიდევ უფრო სამძიმოა იგი, როცა ჩვენ უდანაშაულოდ და სიმართლისთვის ვითმენთ დევნას და მრავალ გვარ შეწუხებას, ისე როგორც ამას გულოვანად და უდრტვინელად ითმენდენ მაცხოვრის მეგობრები და რჩეულნი, წმიდანები.

სამძიმოა ჩვენთვის ის ჯვარიც კი, რომელსაც თვით უფალი მოგვივლენს ხოლმე ჩვენ მისი ჩეგნდამ სიყვარულობისა გამო, ხან მაშინაც კი, როცა კეთილად და პატიოსნად ვცხოვრობთ. ეს ჯვარი უფრო გაცილებით მშიმეა, როცა ჩვენ თვითონ დავიმსახურებთ ხოლმე სასჯელს ჩვენი უმგვანო, გარუცნილი და ღვთის არასასიამოვნო ცხოვრებით, მოშორებული ვართ წმიდა ეკკლესიას და არ ვასრულებთ მის მაცხოვარებითი საიდუმლოთა! ამ უკანასკნელ მდგომარეობაში, ე. ი. როცა ჩვენ ეკკლესიას ვშორდებით, ზოგი ისეთ საოცარ სასოწარკვეთილებაში ვარდება, რომელშიაც, თვისი სულმოკლეობისა გამო, სულ უარჲყოს ამ ჯვარს, და მწუხარებისა გამო საუკუნოდ იღუპება, ან და თავს იკლავს.

მოწყალეო მეუფეო, მოუვლინე თითოეულ ჩვენგანს ის დიდი მოთმინება, რომლითაც შენ ეზიდებოდი შენს მძიმე ჯვარს დაბადების დღიდგანვე, სანამ გოლგოთაზე ჯვარზე გაკრულმა არ განუტევე სული.

მოგვანიჭე ჩვენ შენი მადლი, უფალო, რათა გვიყვარდეს შენი სულიერი, ნივთიერი, შინაგანი და გარეგანი ჯვარი, რომ მზგავსად წმ. დიდი მოციქულის პავლესა ვხედავდეთ ჩვენს დიდებას და ქებას მხოლოდ შენს ცხოველ-მყოფელ ჯვარში, რომელზედაც დაფუძნდა, რომელზედაც დღესაც მტკიცედა სდგას და იდგება ვიდრე დასასრულამდე ქვეყნისა შენი წმ. ეკკლესია, რომელშიაც ჩვენ დავიბადენით და რომელმაც მოგვანიჭა ჩვენ ეს ჯვარი სახელ-

მძღვანელოდ, სადიდებლად, სასიხარულოდ, მწედ და საცხოვნებლად სულისა და ხორცისა, ნათლის ღვბიდან ჩვენი სიკვდილის დღემდე და შემდეგი დროისათვის!

მოწყალეო მაცხოვარო! შთანერგე ჩვენში შიში, სიყვარული და კეთილ-კრძალულება შენი ჯვარისადმი ამ ქვეყნად, ვიდრემდის ჩვენ ვცოცხალვართ, რათა ღირსი გავხდეთ უშიშრათ ვიზილოთ ეს შენი მაცხოვარებითი ჯვარი იქ, ცათა შანა, როცა წარვ-სდგებით შენს წინაშე საშინელი განსჯის დღეს!

### საუბრები სამწესოსთან ლოცვაზე.

ლოცვა ჩვენთვის უცხო საგანი არ არის, მაგრამ იგი ჯერ კიდევ კარგად არა გვანს შეთვისებული; ჩვენი სულისათვის იმდენად საჭიროა ლოცვა, რომ ჩვენ უმთავრესი ყურადღება მუდამ ლოცვაზე უნდა გვქონდეს მიქცეული. ამისათვის იმედი მაქვს, რომ ყურადღებით მოისმენთ ამ საგანზე ჩემს საუბარს. თუ თქვენი სულიერი მწყემსის მოძღვრებას ყურადღებით მოისმენთ, ეს მოძღვრება თქვენთვის სასარგებლო დარჩება. ვაი იმ მწყემსთ, რომელნიც არ მწყსიან თავიანთ სამწყსოთა, მაგრამ კაი არც სამწყსოთ დაემართება, თუ ისინი ყურადღებით არ ისმენენ თავიანთ მწყემსთა სწავლა-დარიგებას. მაშური დამიგდეთ.

„ეძიებდეთ პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა და სხვა ყოველივე მოგველონის თქვენს, ბრძანა იქსო ქრისტემ. მაცხოვრის სიტყვისაებრ, ჩეენ, რომელნიც მოწოდებული ვართ რათა დავიმკვიდროთ სასუფეველი ღმრთისა, ჩვენი მოქმედების დროს უმთავრესად უნდა ვცდილობდეთ ღმრთის სასუფევლის მოსაპოებლად, სხვა დანარჩენზე კი უფრო ნაკლები ყურადღება უნდა გვქონდეს მიქ-ცეული, ვინაიდგან თუ პირველი მოგვენიჭა ღვთისაგან, დანარჩენიც მოგვეცემა. ღვთის სასუფეველი ფრიიად ძვირფასია, იგი უძვირფასესია ყველაფერზე-რაც კი რამ არის ქვეყანაზე. ეს ის მარგალიტია, რომლისათვისაც კეთილ-გონიერი ვაჭარი სტოკბს თავის სამშობლოს და მიემგზაერება შორეულ ქვეყანაში, ხოლო ქვეყნიური წარმავალი სიკეთე და საფეხბა მცირე საფასოა.



რას ვაკეთებთ ჩვენ? როგორ ვექცევით ჩვენი ცხოვრების უმთავრეს მიზანს? ვამზადებთ თუ არა ჩვენ სულს, რათა მან დაიმკვიდროს საუკუნო საუნჯე? ძრიელ სამწუხარო და სამძიმოა ამ კითხვაზე პასუხის მიგება. ჩვენ ყველაზე მომეტებულად ვზრუნვთ ჩვენი სხეულის ფუფუნებაზე, გარეგან კეთილგანწყობილებაზე, ჩვენი სახლების შესაფერად მოწყობაზე, საზოგადოდ ჩვენი ზრუნვა იმაზეა მიქცეული, რომ კარგად ვიცხოვოთ ქვეყანაზე. რაც შეეხება იმას, რომ ჩვენი სული მოვამზადოთ ღვთის სასუფევლისათვის, ამაზე ძლიერ ნაკლებად ვზრუნვათ. ჩვენ სხეულს ვმოსავთ სხვის შესახედათ, ხოლო ჩვენი სული დავიწყებული გვაქვს. აქედან ცხადათა ჩანს, რომ ჩვენ სხეულს უპირატესობას ვაძლევთ სულზე, ხოლო ქვეყნიერ საუნჯეს ვამჯობინებთ ზეციურ საუკუნო საუნჯეს. ალბად ბოროტი სულნი მხიარულობენ, როცა ხედვენ, რომ ჩვენ უმეტესად ვზრუნვთ ჩვენი სხეულის ჩატანა-დახურვაზე და სხვა-დასხვა სიამოვნებაზე, ხოლო სულისათვის კი არ ვზრუნვათ. უფალი, მისი ანგელოსები და წმიდანები მწუხარებით უცქერიან ჩვენს უგნურებას, რომ ჩვენ დიდის ამბით ვზრუნვათ სხეულზე, რომელიც უნდა გაიხრინას, ხოლო უკვდავი სული სრულიად დავიწყებულია. ღვთისათვის ფრიად სასიხარულოა ერთი უოდვილის მოქცევაც. წინააღმდეგ ფრიად სამწუხაროა ღვთისათვის, როცა ჩვენ მივისწრავით დალუპავისკენ და სრულიად არ ვფიქრობთ, რომ კეთილ გზაზე დავადგეთ. ვევედროთ წმ. მამებს, რომ მათი შეოხებით გონებას მოვევოთ!

ბრძა ვერ არჩევს ერთ საგანს შეორისაგან, ამიტომ ხშირად ნაცვლად მისა, რომ მშრალ გზაზე გაიაროს, ტალახში ვარდება. აგრეთვე ცოდვილიანი სული ვერ არჩევს კეთილს ბოროტისაგან. ამ სიბრაჟისა გამო ჩვენ ვერ ვარჩევთ ძვირფას საგნებს უბრალოებისაგან. ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ სხეულს სულზე, როცა კაცის სულის ლირსება ისე დიდია, რომ მთელი ქვეყანა ყველა მისი სასურველი სიკეთით ერთ სულათ არა ლირს. მიაქციეთ ოქვენი ყურადღება შემდეგ გარემოებას: ჩვენი სული არის უმთავრესი ნაწილი კაცის სხეულისა, —იგი, თავისი ბუნებით, არის ხატება ღვთისა (შექმ. 2, 27). მამა ღმერთს ისე უზომოდ უყვარს კაცის სული, რომ ამ სულის ცოდვისაგან გამოსახსნელად მოვლინა აე თვისი მხოლოდ შობილი (იოან. 3, 16).

აე ღვთისას ისე უყვარს კაცის სული და ისე ძვირად აფასებს მას, რომ მის გამოსახსნელად თვითონ ჩამოვიდა ზეცით, დაიბადა, სილაპიბეში ატარებდა ქვეყნიურ ცხოვრებას, შრომობდა, ღვრიდა ოფლის, ებრძოდა ქვეყნიურ უბედურებას, ბოლოს იგი დევნილ იქმნა, შეგინებულ, ნაცემ, ჯვარ-ცმულ და სული განუტევა დიდ წვალებაში. სული წმიდას ისე უყვარს კაცის სული, რომ ამ სულს იგი ირჩევს თავის ტაძრად და მკვიდრდება მასში; ჩვენი სულის უძლურების დროს სული წმიდა ეწევა უძლურებათა ჩვენთა (რომაელ. 8, 26). ეხლა ხომ ხედავთ, თუ რა ძვირფასი ღვთისათვის ჩვენი სული; ჩვენ კი ვაგდებთ ტალახში ჩვენ სულს და არ უწყით მასი ფასი. სწორეთ სამწუხაროა ჩვენი ასეთი მდგომარეობა! მუდამ ამ ქვეყნიურზე ვზრუნვათ, ზაგრამ ამ ქვეყანას ყოველივე თავისი სიმშვენიერით არ ძალუძა მოუპოვოს კაცს დაკარგული სული. რა სასარგებლოა კაცისათვის, რომ მთელი ქვეყანა შეიძინოს და სული თვისი დაღუპოს? ანუ რა მისცეს კაცმა ნაცვლად სულისა თვისისა? (რომაელ. 16, 26).

ქრისტიანე კაცმა ყველაზე უმეტესად იმაზე უნდა იზრუნოს, რომ თავისი სული დაიფაროს ცოდვებისაგან; უპირველეს თითოეული ჩვენგანი იმას უნდა ცდილობდეს, რომ თავში განვითაროს კეთილი თვისებანი, რომელიც შეფერიან ქრისტიანულ ცხოვრებას, —ამაში მდგომარეობს ჩვენი თავის მომზადება, რათა დავიმკვიდროთ ღვთისაგან აღოქმული სასუფევლი. ყველაზე უფრო ამ საქმეში მოგვეხმარება ჩვენ ლოცვა. დაიდ, ლოცვა არის უმთავრესი საქმე, რომელიც გვშველის ცხოვნების საქმეში.

ნუ თუ საჭიროა დავამტკიცოთ ის კეშმარიტება, რომ ლოცვით ჩვენ ვასიამონებთ ღმერთს და ვაცხონებთ ჩვენს სულს. მაგრამ სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ძლიერ ცოტას ვლოცულობთ და მასთან ჩვენი ლოცვა ხშირად სრულიც არ არის, ვინაიდგან გულით არ ვლოცულობთ, ჩვენ უმეტესად ვლოცულობთ ენით, ან პირჯვარის გამოსახვით, ან სხეულის მოხრით და მუხლთა მოყრით. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ თუმცა პირით წარმოვსთქვამთ: «უფალო შემიწყალე», მაგრამ ამ დროს გული არ იღებს მონაწილეობას და არც იმაზე ვართ დარწმუნებული, რომ ღვთისაგან მივიღებთ მიტევებას, — თუმცა პირზე ვისახავთ ჯვარს, მაგრამ სრულებით არ

გვაგონდება ჯვარზე ცმული მაცხოვარი, თუმცა  
მუხლს ვიყრით, მაგრამ სრულებით შეგნებული არა  
გვაქვს, თუ რამდენად ცოდვილი ვართ ღვთის წი-  
ნაშე. ამიტომაც არის, რომ ხშირად მთელი ღამე არ  
გვძინავს და ვერთობით უბრალო თავშესაქცევებით,  
და ერთად ორი-სამი საათი ვერ მოგვიშმარია ლოკ-  
ვაზე. ამიტომაც არის, რომ ჩვენი ლოცვა უნაყო-  
ფოდ რჩება როგორც გონებისა ისე გულისათვის.

რომ შევიტყოთ გემო და სინოყივრე რომელი-  
მე საჭმელისა, პირველად საჭიროა გავსინჯოთ საჭ-  
მელი. აგრეთვე თუ გვინდა შევიგნოთ ლოცვის ნა-  
ყოფი, საჭიროა ვილოცოთ, ისე უნდა მოვახროთ, რომ  
ჩვენი გული შეიქნეს ლოცვის ტაძრად და  
მხოლოდ მაშინ ვიგრძნობთ ლოცვის სიტკბოებას.  
რატომ იყო, რომ ღვთის ჰეშმარიტნი თაყვანისმცე-  
მელნი მთელს დროს დაუღალავად ლოცვილობდენ  
და ლოცვილობდნ? იმის გამო, რომ მათ, გამოცდი-  
ლებით, იცოდენ და იციან, რომ ლოცვაში არის  
უდიდესი სიკეთე, —იმაშია ნუგეში სულიერი კაცისა.  
აი რას ამბობენ წმ. მამები ლოცვის შესახებ: იგი,  
მათი სიტყვით, არის სუნთქმა სულიერი კაცისა; რო-  
გორც სხეულიანი კაცი სუნთქმით იზიდავს თვისკენ  
ჰაერს და იმისგან ისუნთქავს, რაც საჭიროა მისი  
სიცოცხლისათვის, აგრეთვე ლოცვის მეოხებით სული  
ჩვენი ხდება სადგურად სული წმიდისა, რომლისაგან  
ჩვენ ვიღებთ ცხოვრებას და სულიერ ძალას. ლოცვა,  
იტყვის წმ. ოქროპირი, არის საზრდო სულისა, მზე,  
მკურნალობა, ძალა, ცხოვრება სულისა. წმ. შესვე-  
ტის სიტყვით, „ლოცვა თავისი ვითარებით — არის  
ერთობა კაცისა ღმერთთან, ხოლო თავისი მოღვაწე-  
ობით — სიმტკიცე ქვეყნისა, შერიგება ღმერთთან,  
დედა და და ცრემლთა, განწმენდა ცოდვათა, ხიდი,  
რომელსაც კაცი გაპყავს განსაცდელთა შორის, სა-  
შუალება წინააღმდეგ მწუხარებათა, მომავალი სიხა-  
რული, წყარო ქველ-მოქმედებათა, მომნიჭებელი ნი-  
ჟიერებათა, საზრდო სულისა, განათლება გონებისა,  
ხმაღლი სასოწარკვეთილების დროს, დამამტკიცებელი  
სასოებისა, მომსპობი მწუხარებისა... შემამცირებელი  
გულმოსულობისა. ლოცვა ჰეშმარიტი ღვთის მავე-  
დრებელისათვის არის სამსჯავრო, სამსჯულო და  
ტახტი უფლისა მომავალი განჯის დღემდის.

თქვენ თვითონ ხედავთ, ძმანო, რომ მარტო ამ  
წმიდა მამების სიტყვები ლოცვის შესახებ აღძრავენ  
ჩვენს გულში რაღაც სიტკბოებას და ყმაყოფილე-

ბას. და რა დიდი სიხარულით იქნებოდა აღვსილი  
მათი გული, როცა ისინი თავისი ლოცვა-ვედრებით  
მიიქცეოდენ ხოლმე ღვთისადმი? ჩვენ ეხლა არ შე-  
გვიძლია წარმოვიდგინოთ ეს დიადი გრძნობა სიხა-  
რულისა, — ჩვენ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია დავაუ-  
სოთ ეს სიხარული ლოცვისა, როცა ჩვენ თვითონ  
გულმოდგინედ ვილოცავთ.

ვილოცოთ და ვილოცოთ მოშეტებულად, რად-  
გან ლოცვა, როგორც დაინახეთ, ფრიად საჭიროა  
ჩვენ ცოდვილთათვის. ლოცვა არის ერთი ჩვენ მო-  
ვალეობათაგანი, რომელთაც გვავალებს ჩვენ ქრის-  
ტეს სარწმუნოება. თუ არ ვილოცეთ, ისე ვერა  
ვითარ შემწეობას ვერ მივიღებთ ზეციური მამისაგან,  
— არ შეგვიძლია შევასრულოთ არაეითარი კეთილი  
საქმე. მხოლოდ ლოცვა არ არის საჭირო ბოროტი  
საქმეების შესასრულებლად. თუ ჩვენ არ ვავენა სარ-  
წმუნოება და კეთილი საქმეები, ისე ჩვენი ცხოვნება  
არ შეიძლება, ხოლო თუ არ ვალოცავთ, არც ცხო-  
ველი სარწმუნოება გვექნება და არც კეთილი საქ-  
მეების შესრულება შეგვეძლება. რისოვის? იმიტომ,  
რომ ცხოველი და გულითადი სარწმუნოება და  
ქრისტიანული კეთილი საქმეები არიან ნიკი, რო-  
მელიც გვეძლევა ჩვენ სული წმიდისაგან. ქრისტიანე  
კაცის ლირს საქები თვისებებია: სიყვარული, სიხა-  
რული, შვიდობა, სულგრძელება, სათნება, მოწ-  
ყალება, სარწმუნოება, სიმშვიდე, მოთმინება, — ყველა  
ესები არიან ნაყოფი სული წმიდისა (გალატ. 5, 22).  
მაშასადამე, მხოლოდ იმ კაცს შეუძლია ცხოვრება  
და კიდევ ცხოვრობს ქრისტიანულად, ვისშიაც არის  
ღვთის ძალა, და მხოლოდ იმ კაცის სული ბრწყი-  
ნავს ქველი საქმეებით, რომელშიაც დამკვიდრებუ-  
ლია სული წმიდა. ეს კიდევ უფრო ცხადათ გვიმტ-  
კიცებს, რომ ლოცვა არის უსაჭიროები მოვალეობა  
ქრისტიანე კაცისა, ვინაიდგან სული წმიდას მარტო  
ლოცვით გამოვითხოვთ ხოლმე. თვით იგივე ქრის-  
ტემ რქვა, რომ ზეციური მამა მისცემს ზეცით სული  
წმიდას მათ, რომელნი ჰითხვევნ მას. (ლუკა. 11, 13).

დიახ, ლოცვა არის დიდი საქმე, და შეაღევნს  
ნამდვილ საჭიროებას ქრისტიანე კაცისათვის. ქრის-  
ტეს ეკკლესიის პირველი ბურჯი — მოციქულები,  
და მათ შემდეგ ყველა ჰეშმარიტნი ქრისტიანენი  
ყველა საუკუნოებისა ლოცვას რაცხდენ ერთ უსაჭი-  
როებს მოთხოვნილებად და მუდამაც ლოცვილობდენ  
ჰეშმარიტად, ლოცვა არის დიდი საქმე, ვინაიდგან

თვით მაცხოვარი ჩვენი იქსო ქრისტე ხშირად ღა-  
შეებს ატარებდა ლოცვაში. თუ კი იქსო ქრისტეს-  
თვის იყო საჭირო ლოცვა, მით უმეტეს იგი საჭი-  
როა ჩვენ ცოდვილთათვის.

რომ ლოცვა ღვთისადმი ძლიერია ჩვენი განახ-  
ლებისათვის, ეს საეჭვო არ არის. ყოველი, რაოდენი  
თხოვოთ ლოცვასა შინა, სარწმუნოებით, გეყოსთ  
თქვენ (მათ. 21, 22). ლოცვა შეაჩერებს ჩვენზე მოვ-  
ლენილ ღვთის რისხვის (გამოს. 32, 10, 14). ლოცვა  
სწმედს ცოდვებს (იაკ. 5, 15). ლოცვა აძლევს გო-  
ნებას კეშმარიტ განათლებას, ასაზრდოებს გულს და  
გაღმოავლენს კაცზე სული წმიდის მაღლს (ფსალ.  
50, 12, 14); (ლუკ. 11, 13). მართალია, რომ ჩვენ  
ძლიერ ცოდვილები ვართ, ჩვენი სული მომეტებუ-  
ლად ჩაფლულია ცოდვებში, ასე რომ კიდევ  
გვინდოდეს კეთილის ქმნა, არ შეგვიძლია, მაგრამ  
ლოცვას, სადაც საჭიროა, ყოველიფრის დაძლევა  
შეუძლია. მას შეუძლია წყალი გამოიყვანოს კლდი-  
დან, ზღვაში უშიშარ გზას გაიყვანს, სნეულთა ჰქურ-  
ნებს (იოან. 5, 15), ხოლო მკვდართ აღადგენს (საქმ.  
წმ. მოციქულთა 9, 40).

დიახ, აღსდგება სულიც, რომელიც მკვდარია  
ცოდვებით, თუ იგი საღათას ძილისაგან გამოიფხიზ-  
ლებს, ამაღლდება ლოცვაში უფლისადმი, რომელიც  
არის ერთი მხოლოდ მაცხოვარი სულთა ჩვენთა:  
გრწამდეთ—გრწამდეთ, მეგობარნო, ძალა ლოც-  
ვისა და დაუზარებლად ივედრეთ ღმერთს.



დღესაცაშლები წმ. იოანეს ნათლის-მცემლის  
თავის პოვნისა გამო:

24 თებერვალს, 25 მაისს და 12 ოქტომბერს.

იოანე ნათლის-მცემლის სიკვდილის  
შემდეგ, ჰატიონსანი თავი წინამორბედისა დარჩა  
უსჯულო იროდიადას. მაკრთმ ამ უსჯულო  
ქალის სიბოროტე ღვთის წინასწარმეტეველი-  
სადმი მთლად ვერ დაკმაყოფილდა წმ. იოანეს  
მოწამებრივი სიკვდილით. ზეპირ-გადმოცემა  
მოვკითხრობს, რომ ბოროტმა იროდიადამ  
ნემსით დაჩვილიტა თვისი ვარევნილი ცხოვრე-  
ბის მამხილებელის ენა, და რომ მომეტებული  
შეურაცხოფა მიუენებია წმიდანისათვის, ბრძანა  
იოანეს თავი ჩაეკვდოთ მეფე იროდის სახლის  
ფეხის აღაგში. აქედან იოანეს თავი საიდუ-  
მლოდ ამოიღო მეფის სასახლის გამგის ცოლმა  
სუსიმ,—და ელეონის მთაზე დაძლა მიწაში,  
რომელიც ეკუთხნოდა მეფე იროდეს. იროდის  
სიკვდილის შემდეგ, ეს ადგილი იუიდა მეფის  
სასახლის ერთმა კაცმა, სახელად ინნოკენტიმ,  
რომელიც ქრისტეს სარწმუნოების მიღების  
შემდეგ თავის ცხოვრებას ამ მთაზე ატარებდა  
ღვთის ვედრებაში. მან ვანიზრახა ამ მთაზე  
ტაძრის აგება. იგი შეუდგა ტაძრისათვის ბა-  
ლავერის თხრას და ამ დროს პირეველად იპო-  
ვეს ღვთის წინასწარმეტეველის თავი, რომლის  
ხილვის დროს მრავალი სასწაულები მოხდა.

24 თებერვალს წმიდა ეკლესია ადიდებს  
იოანე წინამორბედის თავის პოვნას და ამავე  
დროს იხსენიებს ნათლის-მცემლის თავის მე-  
ორედ პოვნის ისტორიასაც.

ამ ვარემოებანი, რომელიც წინ უმდოდენ  
ნათლის-მცემლის თავის მეორედ პოვნას.  
კეთილ-მორწმუნე ინნოკენტიმ. როცა მან

იგრძნო სიკვდილის მოახლოვება, ხელახლად დამაღა ნათლის-მცემლის თავი სწორეთ იმავი ადგილას, საღაც თვითონ იპოვა, რომ მისგან ნახული წმ. ნაშთი ხელში არ ჩავარდნო, ქრისტიანობის მტერთ იუდელებს, ანუ კურნთ-თავგანის-მცემელთ. ამ დღიდვან ნათლის-მცემლის თავი დიდხანს იმუოფებოდა მიწამი დარავინ უწეოდა, თუ სად იუო იგი დამარხული. წმ. მოციქულთ-სწორის კონსტანტინეს მეფობის დროს, ვიდაცა ორ ბერს, რომელიც იერუსალიმში მოგზაურობდენ წმ. ცხოველმუფელი ჯვარის თავგანის საცემად, მიღმი გამოეცხადათ თვითონ იოანნე წინამორბედი, რომელმაც აუწეს მათ, თუ სად იუო დასაფლავებული მისი თავი. ამ ბერებმა ამოიღეს მიწიდან ეს თავი, ჩადგეს იგი ტოშარაში, რომელიც მოქსოვილი იუო აქლების თმისაგან და წაიღეს. მაგრამ მათ იფიქრეს, რომ ეს თავი ეგებ იოანნესი არ იუოსო და ერთ ვიდაცა ლარიბ ჭურჭლების მკეთებელს გადაცეს. რაც ხანს ეს თავი დარჩა მეჭურჭლის სახლში, მის ოჯახს დაეტეო დიდი ბედნიერება და კუთილ წარმატება. თავისი სიკვდილის წინ მან იოანნე ნათლის მცემლის პატიოსანი თავი ჩადგა თიხის ჭურჭლები და გადასცა თავის დას. შემდეგ ეს ღირს შესანიშნავი წმ. ნაშთი ერთი კეთილ-მორწმუნე პირისაგან მეორეზე გადადიოდა, ვიდრემდის დაბოლოს იგი არ ერგო ერთ შლილს, სახელად ესტატეს, ქ. ეფესოს მცხოვრებს. როცა ბოროტი ესტატე გააძვევეს ქ. ეფესოდან არიას ცრუ სწავლის გავრცელებისათვის, მან იოანნეს თავი დამალა იმ ადგილს, სადაც თვითონ ცხოვრებდა. შეძლებ დროში იმ ადგილს, სადაც ესტატე ცხოვ-

რებდა, დვოის განკვებით აშენდა მართლ-მაღადებელთა სავანე. და აი 18 თებერვალს 452 წელსა, ჯვარის თავგანის-ცემის კვირიდების კვირა დღეს, ეფესოს სავანის არქიმანდრიტის მარკელს მიღმი გამოეცხადენ მრავალნი ანგელოსები და თვითონ იოანნე წინამორბედი, რომელმაც არქიმანდრიტის უჩვენა მონასტერში ის ადგილი, სადაც საიდუმლოდ ესვენა ეს მეცნიერასი ნაშთი—პატიოსანი თავი მისრ. არქიმანდრიტმა ეს ამბავი აცნობა ეფესოს ეპისკოპოს ურანის. უგანასკნელი შევიდა სავანეში ეკკლესიის სხვა კრებულთან ერთად, გადაიხადა სამადლობელი პარაკლისი წმ. იოანნე ნათლის მცემლის სახელობეზე, დიდის ამბით ამოასვენა მიწიდან პატიოსანი თავი და დასხვენა წმ. ტამარში, გამოჩენილ ადგილს, რომ უკველ მორწმუნეს ბებლებოდა მისი ხილვა და თავგანის ცემა.

იოანე ნათლის მცემლის თავის მეორედ ხილვა მოხდა 452 წელს, 24 თებერვალს, და სწორეთ ამ დღეს დღესასწაულობს ეკკლესია მის ხენებასაც.

იმპერატორის მარკიანის ბრძანებით, რომლის მეფობის დროსაც მოხდა მეორედ ხილვა იოანნეს პატიოსანი თავისა, ეს წმიდა ნაძთი გადატანილ იქმნა ხალკიდონში; აქედან იმპერატორის ვალენტინის დროს გადაიტანეს კონსტანტინეპოლის, სადაც დასუენებულ იქნა განზრას ამ მიზნისათვის ადმენებულ დიდებულ ტამარში წმ. იოანნე წინამორბედის სახელობაზე. როცა ხატის თავგანისმცემელთ დევნა დაუწეეს, მრავალი მართლ-მაღადებელი ქრისტიანები, რომელთაც გმინოდათ მწვალებელთა დევნისა, კონსტანტინეპოლიდან ქ. კომანში



ბავი ზღვის აღმოსაფლეთის ნაპირზე, სადაც ქსორიობასა შინა გადაიცვალა წმ. იოანნე თქ-რობირი) გადაესახლებ და თან წარდეს იოან-ნეს თავი, რომ იგი ხელთ არ ჩაეკითხოთ მართლ-მადიდებელ წმ. ნამთა მტრებს. როცა კომნაში მივიღებ, ქრისტიანებმა ჰატიოსანი თავი ჩაასვენეს ვერცხლის ჭურჭელში და და-მალეს იგი მიწამი. როცა ხატის თაუვანის-ფშის წინააღმდეგ აღმოული დევნა დაცხრა, ჰატიოსანი თავი იოანესი ხელახლად ნახა ჰატრიარქმა ეგნატემ, კეთილ-მორწმუნე იმშე-რატორის მიხეილის და მისი დედის თეოდო-რეს მეფეობის დროს, და ლირსეული დღესის-წაულობრთ გადასვენა კონსტანტინები 25 მაის 867 წელსა.

წმიდა იოანნე ნათლის მცემლის საღიდებ-ლად დღესასწაული, რომელიც დადგენილია სართლ-მადიდებელი რუსეთის ეკკლესიისაგან 12 ოქტომბერს, მოგვაგონების ჩვენ დღი წინასწარმეტვებელის უხრწინელი სხეულის ის-ტორიას.

იოანნეს მოწაფეებმა დამარხეს თავის მას-წაულებლის სხეული სამარიის ქალაქ სებას-ტიაში. წმ. მახარებელმა ლუკამ, რომელიც ქა-დაცებდა იესო ქრისტეს სწავლას სებასტიაში და ქ. ანტიოქიაში, სადაც განსაკუთრებით ბევრი იუ მორწეულეთა რიცხვი, თხოვა სებასტიელ ქრისტიანებს ნება-რთვა, რომ იოანნეს წმ. ნაწილი გადაესვენებია ანტიოქიაში. მაგრამ ეს თხოვნა მთლად არ იქმნა დაკმაყოფილებუ-ლი, სებასტიელ ქრისტიანებთა ნება-რთვით წმ. ლუკამ გადასვენია ანტიოქიაში მარტო ზოგი-ერთი ნაწილები ამ წმ. ნამთისა, სახელობ მარჯვენა ხელი წინამორბედისა. ეს წმ. ნამთი იმულებოდა ანტიოქიაში 956 წლიდე და უკე-

ლანი დიდის მოწიწებით სცემდენ თაუვანსა, როგორც წეართს მრავალ სასწაულ-მოქმედე-ბისას\*). 956 წელი, როცა ანტიოქია დაიკა-ვეს თათრებმა, იოანეს მარჯვენა ხელი ჰარვე-ლად გადაიტანეს ხალკიდონში; შეძეგვ რამდე-ნიმე ხნისა—კონსტანტინებოლში. წინამორბე-დის მარჯვენა ხელის კონსტანტინებოლში მისვენება მოხდა დიდის დღესასწაულობით, რომელშია მონაწილეობა მიიღო ჰატრიარქმა ჰოლივეკტმა და იმპერატორმა კონსტანტინე ჰორფიორმა. ეს დღესასწაულობა მოხდა 5 იანვარს ნათლის დების წინა დღეს. როცა კონსტან-ტინებოლი თათრებმა აიღეს (XV საუკუნის დამლევს), სულთანმა ბაიაზეტმა გადასცა, სა-ჩუქარივით, იოანნეს მარჯვენა ხელი ფრინვთა იოანნე იერუსალიმის ორდენის გმირებმს, რომელთაც ჰირველად საცხოვრებელი ადგილი ჰქონდათ როდოსზე, და შემდეგ კუნძულს მალ-ტაზე. 1798 წელში მალტიელი გმირები გან-დევნილ იქმნენ მალტიდგან ნაპოლეონის მიერ და ორდენის მაღისტრი გომბეში მოვიდა რუ-

\*) 362 წელს იმპერატორის ივლიანეს ბრძანე-ბით წინამორბედის სხეული, რომელიც ქ. სევასტი-აში იმყოფებოდა, დასწვეს ქრისტიანების მტრებმა. ის ნაწილები, რომელიც ცეკვლს გადურჩა, ჰირვე-ლად ქრისტიანებმა გადასვენეს იერუსალიმში, შემ-დეგ ალექსანდრიაში. დღეს კი წინამორბედის სხეუ-ლის ნაწილები სხვა-და-სხვა ადგილს ინახებიან, სხვათ-შორის მოსკოვის მიმართ საკრებულო ტაძარში.

რაც შეეხება იმ კითხვას, თუ „დღეს სად იმ-ყოფება წინამორბედის თავი?“ ამაზე დაბეჯითებითი პასუხის მიცემა მნელია. ფიქრობენ, რომ იოანნეს პატიოსანი თავი დაიღუპა 1204 წელში, მარმარი-ლოს ზღვაში, ქარიშხალის დროს, რომელმაც და-ღუპა ხომალდი დასავლეთელ ჯვაროსანთა, რომელ-თაც გაქურდეს კონსტანტინებოლი და თავისი ხოლ-ილები სხვა-და-სხვა მცირფასი და საღრმოო საგნებით დატვირთეს დასავლეთში გასაგზავნად.



სეთში და სოხოვა იმპერატორს ჰავლე ზეტრეს  
ძეს მფარველობა გაეწია მისდამი რწმუნებუ-  
ლი ორდენისათვის. კეთილ მორწმუნე იმპერა-  
ტორმა მიიღო თავის მფარველობის ქვემე სსე-  
ნებული ორდენი და ოვითონ მიიღო სახელ-  
წოდება მალტიელი კავალერიისა. მაშინ გომ-  
ჭემა, მადლობის ნიმნად, საჩუქრად მიართვა  
იმპერატორს ორდენისადმი კუთვნილი წმ. ნაძ-  
თნი: მარჯვენა ხელი ითანხე წინამორბედისა,  
ნაწილი უფლის ცხოველ მეოფელი ჯვარისა  
და ღვთისმშობლის ხატი ფილერმსკის\*\*). აღ-  
ნიმნებულ წმ. ნაძთა ქ. გატჩინოში გადატანა  
მოხდა 12 ოქტომბერს 1799 წელს. ამ ამბის  
სახსოვრად 1800 წელში რუსეთის მართლ მა-  
დიდებელმა ეკკლესიამ დაადგინა განსაკუთრე-  
ბული ღლესასწაულობა. ეოველ წელს 12 ოქ-  
ტომბერს წინამორბედის ხელს იმპერატორის  
სახამთრო სასახლიდან, სადაც იყო ასევენია  
მუდამ, გადაასვენებენ ხოლმე სასახლის ეკკლე-  
სიაში ქ. გატჩინოში და იქ რჩება 18 ოქტომ-  
ბრიამდე.



\*\*) ღვთის-მშობლის ფილერმსკის ხატი, რო-  
მელიც დახატულია წმ. მახარებელის ლუკას მიერ  
(მასთან ერთად კიდევ ორი ხატი—სმოლენსკისა და  
ვლადიმირისა) იერუსალიმიდან კონსტანტინეპოლიში  
წაიღო საბერძნეთის იმპერატორის თეოდორე უნც-  
როსის მეუღლე ევდოკიმ. როცა კონსტანტინეპოლი  
დაიკავეს დასავლეთის ჯვაროსანთა (XIII საუკუნის  
დასაწყისში), ეს წმ. ხატი წაიღეს მათ ევროპაში და  
მათგან იშოვეს ფრანგთა ითანხე იერუსალიმელის  
ორდენის გმირებმა.

«ედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამბაშიძე.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 28 февраля 1898 г. ♦ Цензоръ прот. Е. Елиевъ.  
Типог. редакціи журн. „Пастыръ“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.

## რედაციის პასუხი.

ქ. სიღნაღეს. უცნობ პირს. თქვენ იწერებით: «იმე-  
დია ამ საგის შესახებ თქვენ პატივ-  
ცემულ გაზეთ **«მწყემს»**-ში თქვენ  
მიერ ჩვეულებრივ დამჯდარ და და-  
ლაგებულ პასუხს წავიკითხავთ». დი-  
დის კმაყოფილებით მოგახსენებთ  
პასუხს, ოღონდ თქვენი ვინაობა  
გაგვაგებიეთ. ეს საჭიროა ჩვენთვის,  
რომ სანამ პასუხს დავბეჭდავდეთ,  
სამ კითხვაზე პასუხი გაგვცეთ.

საუბრები პირდაპირ შეუძლია წაი-  
კითხოს მღვდელმა ან მედავითნებმ.  
მაგრამ წინეთ ორჯერ-საჯერ წაკი-  
თხული უნდა ჰქონდეს, რომ არ შე-  
ეშალოს...

## განცხადება.

თ საზოგადოებოა ავათავოუთათვის: თ

ქარებით (თითქმის ძვლების სიმიკნით), ქუთა-  
აგათ-მეოფელით და საწლევების ანთებებით, ბჟას-  
ლით, სულის შესუფათ, სისხლის ნაკლებობით და  
ყოველ გვარი გაცივებით სნეულთათვის. ყველა ამ  
გვარ სნეულთათვის მოწონებულია და ურჩევენ შე-  
სანიშნავ „კუზმიჩევის ბალას“.

ნამდვილი ბალასი არის მაისისა ყვავალით, და  
ძირით უკეთესი სუნიანი. არის მიღებული და ის-  
ყიდება კოკოჩოვის აფთექის მაღაზიის საწყობში  
ქუთაისში.

## უ ნ ა რ ს ი:

სალიტერატურო განცოცილება: სადიდმარხვო სა-  
სინანულო (ლექსი).—ანაფემა (შეჩვენება). ახალი ამბები და  
შენიშვნები.

სრავლა და გეცილებება რჩისთიანობრივი სარატუ-  
ლოებასა და გეცილ-ჯეორგაზე: საუბარი დიდმარხვი  
მესამე კვირია კეზე.—საუბარი საწყისოსთა ლოცვაზე.—დღე-  
სასწაულები წმ. იოანე ნათლიმცემლის თავის პოვნისა გამო.  
— რედაქციის პასუხი. განცხადება

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

♦ Цензоръ прот. Е. Елиевъ.